საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 512 2021 წლის 2 აპრილი ქ. თბილისი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტისა და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 6 ივნისის №249 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის“ მე-2 მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის სტიმულირებისა და მაღალმთიან დასახლებებში საჯარო ან კერძო პროექტების განხორციელებისათვის, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსთვის არა უმეტეს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის გამოყოფა, საიდანაც:

ა.ა) 826 500 (რვაას ოცდაექვსი ათას ხუთასი) ლარი მიმართული იქნება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებით დამტკიცებული „აგროდაზღვევის პროგრამის“ განსახორციელებლად;

ა.ბ) 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიმართული იქნება „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

ა.გ) 2 038 500 (ორი მილიონ ოცდათვრამეტი ათას ხუთასი) ლარი მიმართული იქნება „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის განსახორციელებლად;

ა.დ) 120 000 (ას ოცი ათასი) ლარი მიმართული იქნება „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

ა.ე) 515 000 (ხუთას თხუთმეტი ათასი) ლარი მიმართული იქნება „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

ბ) არა უმეტეს 10 000 000 (ათი მილიონი) ლარისა მიიმართოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული

პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების“ შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**